

ბიზნესის სკოლა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

კ უ რ უ კ უ ლ უ მ ი

პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება / Business Administration

საფეხური

მაგისტრატურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი / Master of Business Administration

პროგრამის ხელმძღვანელი

თეიმურაზ ტორონჯაძე - პროფესორი, ბიზნესის სკოლის დეკანი

თამაზ უზუნაშვილი - პროფესორი, ბიზნესის სკოლის დეკანის მოადგილე

პროგრამის მოცულობა

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა იყოფა შემდეგ კომპონენტებად: სასწავლო, პრაქტიკული, კვლევითი და თავისუფალი.

სასწავლო კომპონენტი არის სასწავლო ელემენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს მაგისტრანტის დარგობრივ დახელოვნებას, ხელს უწყობს მას და ამზადებს პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად.

სასწავლო კომპონენტში მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 90 კრედიტი - აქედან, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 70 კრედიტი და სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი. ამასთან, შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსებიდან მაგისტრანტმა აუცილებლად უნდა დააგროვოს ნებისმიერი მიმართულების მიხედვით 10 კრედიტი, ხოლო დანარჩენი 10 კრედიტი მას შეუძლია დააგროვოს: იგივე შეთავაზებული არჩევით კურსებიდან; ბიზნესის სკოლაში ან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის

უმადლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

პრაქტიკულ კომპონენტში მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 10 კრედიტი:

სტუდენტმა პრაქტიკა უნდა გაიაროს, თუ არ არის დასაქმებული და მას შეუძლია გაიაროს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა იმ დაწესებულებებში, რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული უნივერსიტეტსა და ბიზნესის სკოლას. თუ დასაქმებულია სპეციალობით, მაშინ უნდა წარმოადგინოს ცნობა სამუშაო ადგილიდან დაკავებული პოზიციისა და მოვალეობების აღწერის მითითებით. თუ სტუდენტს არ ეკუთვნის პრაქტიკის გავლა მან უნდა აირჩიოს შემოთავაზებული სასწავლო სფეროს არჩევითი კურსები და დააგროვოს 10 კრედიტი.

კვლევით კომპონენტში მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 20 კრედიტი:

სტუდენტს შეუძლია შეუდგეს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას თუ მას გავლილი აქვს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსები და დაგროვილი უნდა ჰქონდეს 70 ან მეტი კრედიტი.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანი უნდა მოიცავდეს საქართველოში მოქმედი ფირმებისა და ორგანიზაციების ბიზნეს პრობლემატიკის კვლევას, ითვალისწინებდეს ქართული ბიზნესის რეგულაციებს, საერთაშორისო რეგულაციების ადაპტაციას და ა.შ. და აგებული იყოს რეალურ მონაცემებზე, რაც ამზადებს მაგისტრატურის სტუდენტებს საქართველოს ბიზნეს სფეროში სამუშაოდ.

კვლევით კომპონენტთან დაკავშირებული დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია ბიზნესის სკოლის (ფაკულტეტის) მაგისტრატურის დებულებაში.

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება და მისი აღჭურვა აუცილებელი ცოდნით, უნარებით და კვალიფიკაციით ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;
- დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის საჭირო უნარების განვითარება;
- მომზადება პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის ბიზნესის სფეროში.

პროგრამაზე დაშვების წინა პირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური) და გასაუბრებას სპეციალობაში.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა შეავსოს უცხო ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი.

პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან პირველი საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს უცხო ენაზე (ინგლისური) ტესტირებისგან თავისუფლდება

სავარაუდო სტუდენტთა რაოდენობა

50

დასაქმების სფერო

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მომზადებულია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში კვალიფიციური ბიზნესის ადმინისტრირების პრაქტიკის განსახორციელებლად და ფუნდამენტალური სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად.

სწავლის შედეგი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს მიღებული ღრმა და სისტემური ცოდნის კრიტიკული გააზრების საფუძველზე შეუძლია:

- სიღრმისეულად აღწეროს ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული ფუნდამენტური კონცეფციები;
- ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული საკითხების კრიტიკულად ახსნა;
- ბიზნესის ადმინისტრირებაში მიღებული თეორიული ცოდნა დაუკავშიროს ბიზნესის მართვაში თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ინოვაციური, ორიგინალური იდეების გენერირებას და უახლესი მეთოდებით კვლევას.
- გამოიყენოს ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე კონცეფციები ბიზნესგარემოში არსებული პრობლემების ილუსტრირებისა და გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიებისათვის;
- ბიზნესის კვლევის აპრობირებული და უახლესი მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა ბიზნეს გარემოში მიმდინარე კონკრეტული მოვლენების გასაანალიზებლად;
- ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზისა და შეფასების საფუძველზე შეიმუშაოს განსხვავებული ბიზნესის ადმინისტრირების სტრატეგიები კონკრეტული ბიზნეს სიტუაციებისათვის;
- წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან ეთიკური ნორმების დაცვით.

- გამოიყენოს ბიზნესის ადმინისტრირებაში მიღებული თეორიული ცოდნა ახალი მიდგომებით ბიზნესის ცვალებად, კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური გარემოსთან ადაპტირებისათვის;
- გამოიყენოს უნივერსიტეტში მიღებული კომპეტენციები ბიზნესის მართვის სფეროში ახალი მიდგომების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკაში მისი დანერგვისათვის;
- უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის პასუხისმგებლობის აღება და დამოუკიდებლად წარმართოს სწავლის პროცესი საკუთარი შესაძლებლობების თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

ლექცია სამუშაო ჯგუფში მუშაობა პროექტი სემინარი პრაქტიკული მუშაობა

ელექტრონული რესურსით სწავლება სხვა

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

2. დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამდლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

3. ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. წიგნზე მუშაობის მეთოდი.

5. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

6. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდეელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

7. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

8. შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.

9. გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

10. როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

11. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის

დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რის შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

12. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

13. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

14. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

15. წერიტი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

16. ისტორიული მეთოდი - ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი და ეტაპობრივი განვითარება თვალსაჩინო ხდება ამ ტექნოლოგიების სხვადასხვა განვითარების ეტაპების ისტორიულ შედარების დროს.

შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კურსში კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში;

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა. რომელიც უტოლდება საბოლოო შეფასების 100 პროცენტს.

სტუდენტთა შეფასება განისაზღვრება შემდეგი შეფასების სისტემისა და რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით:

დადებითი შეფასებები:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91–100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებები:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები;

(FX) ვერ ჩააბარა – უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტს უფლება აქვს დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ კიდევ ერთხელ გავიდეს დამატებით დასკვნით გამოცდაზე;

(F) ჩაიჭრა – უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია ახლიდან გაიაროს სასწავლო კურსი;

სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასება წარმოებს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს;

დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულაა 40, დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით;

შუალედურ შეფასებაში სავალდებულოა ერთი შუალედური გამოცდის გათვალისწინება, რომელიც 20 ქულაა;

შუალედური შეფასების დანარჩენი 40 ქულის განაწილება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ტესტირებას, სემინარებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტივობას, წარმოებს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და დეტალურად გაიწერება სილაბუსში კურსის წამყვანი პროფესორის მიერ;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, სილაბუსებში მოცემული მინიმალური კომპეტენციების ზღვრების გათვალისწინებით;

სტუდენტი დამატებით გამოცდაზე გადის იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდებს შორის შუალედი არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები;

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება განისაზღვრება შემდეგი შეფასების სისტემის მიხედვით:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი _ შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი _ მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი;

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც).

კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად განხორციელდეს: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი გამრავლდეს ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი გაიყოს სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები

მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.

ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები

შედეგები	სამიზნე ნიშნულები
<p>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს მიღებული ღრმა და სისტემური ცოდნის კრიტიკული გააზრების საფუძველზე შეუძლია:</p> <p>1.1 სიღრმისეულად აღწეროს ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული ფუნდამენტური კონცეფციები;</p> <p>1.2 ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული საკითხების კრიტიკულად ახსნა;</p> <p>1.3 ბიზნესის ადმინისტრირებაში მიღებული</p>	<p>სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევის შეფასება შემდეგ სავალდებულო სასწავლო კურსებში:</p> <p>ეკონომიკა მენეჯერებისათვის;</p> <p>სტატისტიკა მენეჯერებისათვის;</p> <p>კორპორაციების ფინანსები;</p> <p>მარკეტინგის მენეჯმენტი;</p> <p>ოპერაციების მენეჯმენტი;</p> <p>მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები;</p>

<p>თეორიული ცოდნა დაუკავშიროს ბიზნესის მართვაში თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული ინოვაციური, ორიგინალური იდეების გენერირებას და უახლესი მეთოდებით კვლევას.</p>	<p>ფინანსური ბუღალტერია მენეჯერებისათვის; გლობალური ბიზნეს გარემო; მენეჯერული აღრიცხვა; სტრატეგიული მენეჯმენტი; ბიზნესის პროგნოზირება; ორგანიზაციული ქცევის მართვა; აკადემიური წერა.</p>
<p>2.1 გამოიყენოს ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე კონცეფციები ბიზნესგარემოში არსებული პრობლემების ილუსტრირებისა და გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიებისათვის;</p>	<p>ბიზნესის ადმინისტრირების პრობლემების: 2.1.1 იდენტიფიცირება 2.1.2 ანალიზი 2.1.3 კვლევის მეთოდების შერჩევა 2.1.4 გადაჭრის გზების მოძიება</p>
<p>2.2 ბიზნესის კვლევის აპრობირებული და უახლესი მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა ბიზნეს გარემოში მიმდინარე კონკრეტული მოვლენების გასაანალიზებლად;</p>	
<p>2.3 ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზისა და შეფასების საფუძველზე შეიმუშაოს განსხვავებული ბიზნესის ადმინისტრირების სტრატეგიები კონკრეტული ბიზნეს სიტუაციებისათვის;</p>	
<p>2.4 წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან ეთიკური ნორმების დაცვით.</p>	
<p>3.1 გამოიყენოს ბიზნესის ადმინისტრირებაში მიღებული თეორიული ცოდნა ახალი მიდგომებით ბიზნესის ცვალებად, კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური გარემოსთან ადაპტირებისათვის;</p>	<p>კვლევითი და პრაქტიკული პროექტების: 2.4.1 ანალიზი 2.4.2 დასკვნის ჩამოყალიბება 2.4.3 შედეგების ინტერპრეტირება 2.4.4 პრეზენტაცია, წერილობითი ან/და ზეპირი ფორმით საზოგადოებისათვის წარდგენა.</p>
<p>3.2 გამოიყენოს უნივერსიტეტში მიღებული კომპეტენციები ბიზნესის მართვის სფეროში ახალი მიდგომების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკაში მისი დანერგვისათვის;</p>	<p>3.1.1 ნაშრომის დაგეგვა 3.1.2 ნაშრომში თანამედროვე ინოვაციური თეორიებისა და პრაქტიკული მეთოდების გამოყენება</p>
<p>3.3 უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის პასუხისმგებლობის აღება და დამოუკიდებლად წარმართოს სწავლის პროცესი საკუთარი შესაძლებლობების თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე.</p>	<p>3.3.1 დამოუკიდებლად შემდგომი სწავლის იდენტიფიცირება 3.3.2 სწავლის დაგეგმარება</p>

ცოდნა და გაცნობიერების შედეგების შეფასების კრიტერიუმები

გამოითვლება სავალდებულო კურსების შეწონილი ჯამი.

წონები დამოკიდებულია კურსების კრედიტებზე და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{წონა} = \frac{\text{კურსის კრედიტი}}{\text{სავალდებულო კურსების კრედიტების ჯამი}}$$

თითოეული კურსის შესაფასებლად გამოიყენება სტუდენტების საშუალო შეფასება ამ კურსში

სტუდენტების საშუალო შეფასება კურსების მიხედვით	სამიზნე ნიშნულის ქულები
91-100	5
81-90	4
71-80	3
61-70	2
51-60	1
0-50	0

სავალდებულო სასწავლო კურსებში:	კრედიტი	წონა	მაქსიმალური ქულა
ეკონომიკა მენეჯერებისათვის	5	0.07143	5
სტატისტიკა მენეჯერებისათვის	5	0.08571	5
კორპორაციების ფინანსები	6	0.07143	5
მარკეტინგის მენეჯმენტი	5	0.08571	5
ოპერაციების მენეჯმენტი	6	0.07143	5
მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები	5	0.07143	5
ფინანსური ბუღალტერია მენეჯერებისათვის	5	0.07143	5
გლობალური ბიზნეს გარემო	5	0.08571	5
მენეჯერული აღრიცხვა	6	0.08571	5
სტრატეგიული მენეჯმენტი	6	0.07143	5
ბიზნესის პროგნოზირება	5	0.08571	5
ორგანიზაციული ქცევის მართვა	6	0.07143	5
აკადემიური წერა	5	0.07143	5

სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები

თითოეული სამიზნე ნიშნული ფასდება 0-დან 5-დე:

A	-	5
B	-	4
C	-	3
D	-	2
E	-	1
F	-	0

	კრიტერიუმები					
	A	B	C	D	E	F
სამიზნე ნიშნული	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიმუშოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის ძალიან მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის დამაკმაყოფილებლად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის არქონის ჩვენება

დანართი 1: პროგრამის სასწავლო გეგმა

დანართი 2: CV - თეიმურაზ ტორონჯაძე